დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 13

ქ. დმანისი 22 ნოემბერი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 . აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. გამლეტ ისმაილოვი
16. მიხეილ დაუთაშვილი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. ლევან მოსეშვილი
19. გუმბათ იუსუბოვი
20. გუსეინ ისმაილოვი
21. ლეილა მიქიანი
22 კახა ოქრიაშვილი
23 თორნიკე ნინაშვილი
24 კახა დევნოზაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 35

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ
მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის'' ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მოძრავი ქონება) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. ბერუაშვილი**

8	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. ბერუაშვილი**

9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური''-სათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. ბერუაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1993 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების განხორციელებისათვის დანართი N48-ში მითითებული სამუშაოებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4367366 ლარი,ნაცვლად 4389074 ლარის,ანუ შემცირდა 21708 ლარის ოდენობით და შესაბამისად შემცირდა

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020501“ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 422.5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 400.8 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 21.7 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის Nგ-109 -109222903 დამტკიცებული დმანისი მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109220252 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილებაშემდეგ ორგანიზაციულ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარ შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი 0206 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებების“არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 609.6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 512.9 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 96.7 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1066.6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1010.1 ათასი ლარით ანუ შემცირდა 56,5 ათასი ლარით .

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020303 „კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 564,3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 543,3 ათასი ლარის ოდენობით,ანუ შემცირდა 21.0 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020102 „გზების მშენებლობა - რეაბილიტაციის“არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1015.8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1007.6 ათასი ლარის ოდენობით,ანუ შემცირდა 8.2 ათასი ლარით.

მე-19 მუ ხლ ით დ ამტ კიცებუ ლ ი ო რგანიზ აციუ ლ ი კოდ ი 0204 „ავარიუ ლ ი შენო ბების დ ა სახლ ების რეაბილ იტ აციის“ სხვა ხარჯების მუხლ ი 250.0 ათ ასი ლ არის ნაცვლ ად განისაზ ღ ვროს 221.8 ათ ასი ლ არის ოდ ენობით , ანუ შემცირდ ა 28,2 ათ ასი ლ არით.

მე-19 მუხლით დამტკიცებულ ორგანიზაციულ კოდის 020501 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4039.6 ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვრა 4250.2 ათასი ლარის ოდენობით, ანუ გაიზარდა 210.6 ათასი ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „სხვა შემოსავლები2850.0ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვრა 3310.0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 460.0ათასი ლარი,აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა მომსახურე ბანკში განთავსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი 55.0 ათასი ლარი. სანქციები,ჯარიმები და საურავებიდან-75.0 ათასი ლარი.და ტრანსფერები,რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 330.0 ათასი ლარი,მათ შორის: ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო 130.0 ათასი ლარი,ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებიდან 200.0 ათასი ლარი.

ასევე შემოსულია არაფინანსური აქტივების კლებიდან 450.0 ათასი ლარი,მათ შორის, ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოსულია 100.0 ათასი ლარი,და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან 350.0 ათასი ლარი.აღნიშნული ჭარბი შემოსავლები გადანაწილებული იქნა შემდეგ გადასახდელებში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 010102 მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 387.0ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 387,5 ათასი ლარის ოდენობით, ანუ ზრდამ შეადგინა 0.5 ათასი ლარი,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი 815.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 874.5 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 59.5 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 060203 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური,ამბულატორიული დახმარების“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 380,0 ათასი ლარის ნაცვლად,განისაზღვროს 480,0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 100.0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 060202 მუნიციპალური პროგრამით დამტკიცებული ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფის (ბრიკეტებით) საქონელი და მომსახურების მუხლი 55.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 65,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 10,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020202 სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის“გრანტის მუხლით განსაზღვრული 2345.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 3105.0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 760.0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 0403 „საჯარო სკოლების“ საქონელი და მომსახურების მუხლი 680.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 598.6 ათასი ლარით ანუ შემცირდა 81.4 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 040101 „სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ სუბსიდირება 839.8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 838,8 ათასი ლარის ოდენობით,ანუ შემცირდა 1.0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილი იქნა
სოციალური უზრუნველყოფის მუხლში და განისაზღვრა 5.0 ათასი ლარის ოდენობით ნაცვლად 4.0 ათასი ლარის.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050204 „კულტურული ღონისძიებების“სხვა ხარჯების მუხლიდან გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში 9.4 ათასი ლარი.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 31001.5ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლეილა მიქიანმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''

1. **დადგენილების მიღების მიზეზი:**
   ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 130-ე მუხლი;
   ბ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 132-ე მუხლი;
   გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 09 ნოემბრის 9 ნოემბრის წერილი GOV 8 22 00036216
2. **დადგენილების მიღების მიზანი:**
   დადგენილების პროექტის მიზანია „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება
3. **დადგენილების ძირითადი არსი:**
   „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ით დამტკიცდა „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა

რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, ამ პროგრამით მოსარგებლე პირს შესთავაზოს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა, არაუმეტეს ერთი წლით და ქირის ოდენობა განსაზღვრულია, ყოველთვიურად, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „უნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი“, ხოლო ამავე კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე“. მოცემული მუხლების განმარტების თანახმად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, საკუთარი

უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ექსპერტიზას ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის აპარატი, კერძოდ - იურიდიული დეპარტამენტი, რის შემდეგაც იდება განსახილველი დოკუმენტის იურიდიული დასკვნა, რაც შესასრულებლად სავალდებულოა აქტის გამომცემი ორგანოსათვის.

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილების შესწავლის

საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 09 ნოემბრის GOV 8 22 00036216 წერილით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ N24 დადგენილების „მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება აქვს პირს შესთავაზოს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს 1 წლით და ქირის მაქსიმალური თვიური ოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით. აღნიშნული ჩანაწერი უნდა შეესაბამებოდეს

დმანისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ადგილობრივ ბიუჯეტს, ვინაიდან მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“.

შესაბამისად, ვინაიდან „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილების თანხები გათვალისწინებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, დღის წესრიგში დადგა მოცემული ნორმატიულ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ამოქმედება.

4. დადგენილების ანალიზი:

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება:

ა) არ აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ) არ აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს: ლევანი მოსეშვილმა, კახა ოქრიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი

პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი

ცვლილება:

„ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N35-ში სკვერის მოწყობის" ღირებულება დამატებითი სამუშაოების გამო საჭიროა გაიზარდოს 10 % -ის ფარგლებში 27093 ლარით.

„კამერების და მისი თანმდევი მომსახურების შეძენის" ღირებულება დამატებითი სამუშაოების გამო საჭიროა გაიზარდოს 10 % -ის ფარგლებში 11890 ლარით.

„წყაროდან წყლის მიწოდება ლოქჭანდარის საზღვარზე" ტენდერი არ შედგა 2 -ჯერ თანხის სიმცირის გამო და სამუშაოები გადაფასდა და გაიზარდა 18000 ლარით.

დამატებითი სამუშაოების გამო საჭიროა 56983 ლარი. აღნიშნული თანხები გადატანილი იქნა შემდგომი პუნქტებიდან

1. ტენდერებისა და სამუშაოების დასრულების შემდგომ დაჩენილი ეკონომიები შეადგენს 14901 ლარს

   „2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება" ხელშეკრულების გაფორმებიდან და სამუშაოების დასრულების შემდგომ მორჩენილი ეკონომია შეადგენ 13651 ლარს.

   „ქ. დმანისში გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ გაზის მილის გადატანი"-ს სამშაოების დასრულების შემდგომ მორჩენილი ეკონომია შეადგენს 1250 ლარს

   „მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობიდან" 24341 ლარი

   გაუქმდება „სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა) დაზიანებული ცენტრალურ სტადიონზე არსებული შენობის რეაბილიტაციისთვის", ვინაიდან 2022 წელს ტენდერში არავინ მიიღო მონაწილეობა. გათვალისწინებული იქნება 2023 წელს. თანხა შეადგენს 17741 ლარი.

   ზემოდ აღნიშნულმა თანახმ შეადგინა 56983 ლარი.

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა				
N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	სოფ. განთიადის სამუსიკო სკოლის ოთახების რეაბილიტაცია	ადმინისტრაციული შენობები	65862	
2	სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მშენებლობა	წყლები	284616	
3	სოფ.გუგუთის გარე განათების მოწყობა	შენობა ნაგებობები	64580	
4	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ დიდ დმანისში გადასახედის მოწყობა	სხვა	50077	

5	წმინდა ნინოს ჩიხის N1 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	91960	
6	ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N58-ში მდებარე სარეპეტეციო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	73960	
7	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსში მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	81218	
8	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	50169	
9	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	135978	
10	დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ განთიადში ნაგზაურთან მისასვლელი ბილიკის და შემოღობვის მოწყობა	კეთილმოწყობა	17598	
11	რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	1156367	
12	2022 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	სხვა	228000	
13	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	300000	
14	[redacted]	სხვა	489600	
15	სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	221754	
16	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში და რიტუალების სახლის გაზიფიცირების სამუშაოები	შენობა ნაგებობები	34011	
17	ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის ნაწილის გარე განათების მოწყობის სამუშაოები	გარე განათება	478539	
18	ქ.დმანისში არსებული მონომენტის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	346371	
19	ლუკუმის მთაზე საპიკნიკე სივრცის მოწყობის სამუშაოები	შენობა ნაგებობები	63455	
20	დმანისის მუნიციპალიტეტის,სოფ.ვარდისუბნიდან სოფ. მაშავერის მიმართულებით საცალფეხო ბილიკის მოწყობის სამუშაოები	გზები	91785	
21	სოფ. ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა	შენობა ნაგებობები	455014	პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 910027 ლარს, 2022 წელს ანაზრაურდება პროექტის ღირებულების 50 %
22	ქ.დმანისში ავტოსადგურთან ტერიტორიის კეთილმოწყობა	კეთილმოწყობა	81669	

23	ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N35-ში სკვერის მოწყობა	კეთილმოწყობა	392735	
24	კამერების და მისი თანმდევი ძოძსახურების შეძენა	სხვა	185890	
25	მელიორაციისთვის სარწყავი ჰიდრანტების შეძენა	სხვა	31252	
26	საბავშო ბაღებისთვის გენერატორების შეძენა	სხვა	60358	
27	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში შიდა გზის რეაბილიტაცია	გზები	87079	
28	მერიის შენობაში სანდაზიკ ფარფეტების მოწყობა	შენობა ნაგებობები	63289	
29	ქ. დმანისში გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ გაზის მილის გადატანა	კეთილმოწყობა	3250	
30	ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის შენობის, საგანმანათლებლო ცენტრის და სოფ. განთიადში საბავშვო ბაღის თოვლისაგან და ქარისაგან დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობა ნაგებობები	11986	
31	წყაროდან წყლის მიწოდება ლოქჩანდარის საზღვარზე	წყლები	78000	
32	სტიქიის შედეგად დაზიანებული (დიდ თოვლობა) სოფ დაგარახლოში სარიტუალო სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება	შენობა ნაგებობები	4500	
33	დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის შგზის 0 კილომეტრზე "მე მიყვარს დმანისი" -ს წარწერის მოწყობის სამუშაოები	კეთილმოწყობა	55000	
	ჯამი		5835922	

დმანისის მუნიციპალიტეტში **2019-2020-2021** წლის პროექტების დასრულებისთვის

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების, საგზაო სარკეების, ჰორიზონტალური მონიშვნის საღებავით და რკინის პარაპეტების მოწყობა, საგზაო ციმციმა და ბეტონის პარაპეტების მოწყობა	გზები	15000	
2	სოფ. გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	36805	გარდამავალი პროექტი, დაიწყო **2020** წელს
3	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	წყლები	86226	

4	1. დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისძირში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია; 2. სოფელ დაგარახლოში ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 3. სოფელ განახლებაში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 4. სოფელ განთიადში, სოფელ ჯავახის ჩასახვევში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 5. სოფელ განთიადში, საბავშვო ბაღთან, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 6. სოფელ ველისპირში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 7. სოფელ ვარდისუბანში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 8. სოფელ მამულოში ცენტრალურ გზაზე მოსცდელის მოწყობა; 9. სოფელ სარკინეთში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 10. ქ. დმანისში, ბატონიშვილის და აღმაშენებლის კვეთაზე, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 11. სოფელ ქციის ცენტრში სკვერის მოწყობა.	შენობა ნაგებობა	5780	
5	სოფელ ირგანჩაის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	წყლები	102500	
6	26 მაისის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	85911	
7	ქ.დმანისში გორგასლის ქუჩა N1 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	კეთილმოწყობა	139048	
8	სოფ.ზემო კარაბულახის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა	კეთილმოწყობა	152311	
9	სოფ.ამამლოს სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა	კეთილმოწყობა	194335	
10	სოფელ ირგანჩაის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობ	კეთილმოწყობა	168188	
11	ქ.დმანისი ჭუბერის III ჩიხი, N4ა სკვერის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	247245	
12	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სანიტარული კვანძის მომწყობის სამუშაოები.	შენობა ნაგებობები	45789	
13	1. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამულოს სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობისა და საპირფარეშოს მოწყობა 2. სოფ აზკაკლიანში სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობის. 3. დმანისის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები. 4. ქ.დმანისში 9 აპრილის ჩიხი ქ.N4 -ში მდებარე ,,ააიპ დმანისის კომუნალური სამსახურის'' სპეც მანქანებისთვის ე.წ ფარდულის მოწყობის სამუშაოები. 5. გომარეთის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები. 8. იფნარის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები	შენობა ნაგებობები	5634	
14	რგფ პროექტების თანადაფინანსება 2685 მთავრობის განკარგულება	სხვა	472419	
15	რგფ პროექტების თანადაფინანსება 136 მთავრობის განკარგულება	სხვა	281314	
16	რგფ პროექტების თანადაფინანსება 2630 მთავრობის განკარგულება (ამამლოს სანიაღვრე არხი)	სხვა	3309	
17	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	30320	

18	2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	9656	
19	2019-2020-2021 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	სხვა	126919	
			2208709	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ

დმანისის საკრებულოში 08 ნოემბერს შემოსული იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წერილი, ინიციატივა დმანისის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების განხორციელების შესახებ, დანართით წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლის ქუჩების, ჩიხების, შესახვევების სახელდება არაბული ციფრების გამოყენებით. (თან ერთვის შესაბამისი რუკაც)

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის არაბული ციფრების გამოყებებით სახელდებული ქუჩების სახელების შეცვლა და მათთვის სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწე პირებთან ან ისტორიულ ტოპონიმებთან დაკავშირებული სახელწოდებების განსაზღვრისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაწყება, გეოგრაფიული მონაცემების დამუშავების საჭიროების გარეშე, უფრო გამარტივებული წესით იქნება შესაძლებელი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის'' ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მართვეს'', ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №58-ში მდებარე ააიპ ,,სამუსიკო სკოლის'' შენობის (ს/კ 82.01.46.785) სარეპეტიციო დარბაზის 160 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, ანსამბლ ,,მართვეს'' სარეპეტიციოდ და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარი თვეში.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი : ლერი ბერუშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- დმანისის სოფელ ქვემო ოროზმანში მდებარე შენობიდან (ს/კ 82.14.44.300.02.500) 52,54 კვ.მ ფართი და სოფელ გომარეთში მდებარე შენობიდან (ს/კ 82.05.41.513) 33,19 კვ.მ ფართი, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ -,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს''.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

7. **მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მოძრავი ქონება) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება დანართი №1-ის შესაბამისად, შემდგომში შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრისათვის'' გადაცემის მიზნით.

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	მიღების ნომერი	ერთი ერთეულის ფასი აშშ დოლარი	ფასი აშშ დოლარი	ვალუტის კურსი 07 მარტის მდგომარეობით	ფასი ლარში	ინვენტარის ნომერი	სააგენტოს საინვენტარო ნომერი	ცვეთის %	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)
1	საშრობი მანქანა	1	75731	500	500	2.6810	1340.5	212200012	C12448	12	1006.25
2	საშრობი მანქანა	1	75733	500	500	2.6810	1340.5	212200001	C12449	12	1006.25
3	საავადმყოფო გამოცდის მაგიდა	1	77516	1700	1700	2.6810	4557.7	212200024	C12439	6.7	3641.59
4	საავადმყოფო გამოცდის მაგიდა	1	77517	2535	2535	2.6810	6796.34	212200025	C12438	6.7	5430.26
5	საავადმყოფო საწოლი	1	78430	1000	1000	2.6810	2681	212200023	C12436	6.7	2142.11
6	საავადმყოფო საწოლი	1	78427	1000	1000	2.6810	2681	212200029	C12437	6.7	2142.11
7	საავადმყოფო საწოლი	1	78429	1000	1000	2.6810	2681	212200030	C12591	6.7	2142.11
8	საავადმყოფო საწოლი	1	78431	1000	1000	2.6810	2681	212200028	C12590	6.7	2142.11
9	ხედვის კომპლექტის სქემა	3		9.4	28.2	2.6810	75.60		უნომრო	-	75.60
10	ოპტიმეტრის სისტემა	1	77807	5000	5000	2.6810	13405.00	212200026	C12440	8.3	10067.14
11	სასწორი	2	77889	71.96	143.92	2.6810	385.85	212200010	C12582	-	385.84
12	ბავშვის ელექტრო სასწორი	1	75497	1926	1926	2.6810	5163.61	212200020	C12556	10	3614.52
					16333.1		43789.0947				33795.89

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24
წინაღმდეგი:
8. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ
მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიების) თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად, შემდგომში ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/ნ402157330) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24
წინაღმდეგი:
9. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური''-სათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ერთი ერთეული FORD Transit 430 E BUS 16+1 ადგილიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო სანომრე ნიშანი: MM370EE, სარეგისტრაციო მოწმობა: AJ34267815.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24
წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი